საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1150 2018 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ საზღვარგარეთ საქონლის ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებზე უფლებების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებზე უფლებამოსილების მინიჭებისა და მის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქონლის ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით საზღვარგარეთ უფლებების აღსრულების მიზნით:

1. მიენიჭოს უფლებამოსილება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ (შემდგომში – საქპატენტი), რომ განახორციელოს

საზღვარგარეთ საქონლის ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით უფლებების აღსრულების მიზნით საჭირო ღონისძიებები.

2. საქპატენტმა, საზღვარგარეთ საქონლის ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით უფლებების აღსრულების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს 100 000 (ასი ათასი) ლარის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. ეთხოვოს საქპატენტს, რომ ამ განკარგულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები დაფაროს საკუთარი სახსრებიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**